ცნობის ფურცელი

№ 1791 ყოველ-დღიური გამოცემა 1896—1902 შაბათი, 27 აპრილი № 1791

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“.** ტელეფონი № 372.

ქვრივი **ატატო კაციას ასული წერეთლისა** და ასული მისი **თამარ** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა პირველი მეუღლისა, ხოლო მეორე საყვარელის მამის

აზ. დიმიტრი ექვთიმეს ძის წერეთლისას

და უმორჩილესად სთხოვენ პატივი სცენ და მობრძანდნენ მიცვალებულის გამოსვენების დღეს 30 აპრილს, სამშაბათს, შორაპნის მაზრის სოფ. ქალაში. (2—1)

რედაქციისაგან

გავახსენებთ ხელის მომწერთ, რომ ვისაც გაზეთ **„ცნობის ფურცლის“** და ჟურნალ **„მოამბის“** ხვედრი ფული, მეორე შემოსატანი არ შემოუტანიათ, დააჩქარონ შემოტანა ვინც არ შემოიტანს, მაისის პირველიდან ჟურნალ-გაზეთი არ გაეგზავნებათ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

კ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვების 9—10 საათამდე. ხუთშაბათს და შაბათს გარდა.

ი. გ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშო 9—10 საათამდე.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი 10—11 საათამდე. სამშაბათობით და ხუთშაბათობით 1—2 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 10—11 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვების 11—12 საათამდე.

ა. გ. ბარსუქოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 12—1 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგანი, ნერვების და წამლობა ელექტრონით 12—1 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ხტ. ალ. ვოინო—ხირურგია ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით. 1—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი სკანაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ტელეფონი № 274. (წლ.)

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე მიიღებს აგრეთვე საქმეო: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თუ. ლაევის სახლი.

ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის ალმასრულებელი სთხოვს მაზრის თავად-აზნაურთ, მობრძანდნენ კვირას, 28 აპრილს, დილის 10 საათზე, **მაზრის თავად-აზნაურთა საგანგებო კრებაზე,** ტფილისის სათავადაზნაურო დეპუტატთა საკრებულოს ბინაზე, განსახილველად შემდეგის საგნებისა:

1. როგორ მოიხმაროს თავად-აზნაურობამ უმაღლესად ნაბოძები ფული და 2) საკითხი იმის შესახებ, რომ საგუბერნიო სათავად-აზნ. კრება მარტის მაგიერ დეკემბერში ინიშნებოდეს. (1—1)

ქართული თეატრი

კვირას, 28 აპრილს 1902 წ.

ქართული დრამატიული დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება

« **დაკლებულის ფასებით** »

ვლ. ალექსი—მესხიშვილის მონაწილეობით

ურიელ აკოსტა

ტრაგედია 5 მოქ. გუცკოვისა, თარგ. ი. ბაქრაძისა.

მონაწილეობენ: ქ.ქ. გარგარეთელი, საარიძე და სხვა. ბატონნი: ვლ. მესხიშვილი, გუნია, სვიმონიძე, შათირიშვილი, იმედაშვილი, ივანიძე, რომანიშვილი და სხვა.

დასაწყისი 8½ საათზე. ფასები დაკლებულია.

რეჟისორი **ვ. გუნია.**

ექიმი

ვახტანგ ლამბაშიძე

შინაგანის და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს იღებს დილის 9—10-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. რეუტის ქუჩა № 24
ტელეფონი № 642.

აჩირებული „მცველი“

ამას წინად ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლაში უსიამოვნო ამბავი მოხდა. სკოლის დაბაზში ჩვეულებრივი სალიტერატურო საღამო გამართეს. საღამოს დიდ-ძალი ხალხი მოაწყდა, მათში თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. ს. ნ. ლორთქიფანიძე და ქალაქის თავი ბ. დ. ა. ლორთქიფანიძეც იყო.

„საღამო“ მხიარულად და შნოიანად დაიწყო. სიმღერა—ლექსების თქმა, ბავშვების სიცილი და აღელვება,—მშობლების სიხარული—ყველა ეს სასიამოვნო სურათს წარმოადგენდა.

საუბედუროდ, ხშირად, რაც სასიამოვნოდ იწყება, ამგვარადვე ვერ თავდება. აქაც ასე მოხდა. ქუთაისის პოლიცმეისტერის, ბ. ლისოვსკის განკარგულებით სიმღერა შესწყვიტეს, საზოგადოებას გამოუცხადეს, რომ „საღამო“ აღარ გაგრძელდებაო, რადგან სკოლის ინსპექტორს სკოლის დარბაზში სალიტერატურო საღამოს გამართვის უფლება არ აქვსო. საზოგადოება, ნაწყენი და აღშფოთებული მოულოდნელის შემთხვევით, რასაკვირველია, დაიშალა.

ბ. ოცხელს ვერ გაეგო, რამ გამოიწვია ბ. პოლიცმეისტერის განკარგულება. და კითხვის გამოსარკვევად სახალხო სკოლების დირექციას მიჰმართა. დირექციის განმარტებით, პოლიცმეისტრის განკარგულება არავითარ მოსაზრებით არ გამართლდებაო, რადგან სკოლის ინსპექტორს შეუძლიან, ადმინისტრაციის ნებადაურთველად, გამართოს ხოლმე სკოლის შენობაში უფასო სალიტერატურო და საცეკვაო საღამოები. ამ განმარტების შემდეგ, ბ. ოცხელმა საჩივარი შეიტანა ქუთაისის პოლიცმეისტერზე.

ამასთანავე გუბერნატორთან მისულან მოსალაპარაკებლად ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, ქალაქის თავი და საპატიო მომრიგებელ—მოსამართლე ბ. დ. ბაქრაძე.

ყველაფერი მშვიდობიანად და რიგზე დაბოლოვდებოდა, ამ საქმეში რომ არა მკითხე მცველები არ ჩარეულიყვნენ. გუბერნატორი პოლიცმეისტრის მოქმედებას უკანონოდ სცნობდა, მისცემდა ნებას საღამოების გამართვისას და საზოგადოება დაკმაყოფილდებოდა. ან კიდევ გუბერნატორი პოლიცმეისტერის განკარგულებას კანონიერად ჩასთვლიდა და ინციდენტს „კანონიერად“ ბოლო მოეღებოდა.

მაგრამ არა. ჩვენში არიან იმგვარი პირები, რომელნიც ყოველ ღონის ძიებას ხმარობენ მტრობა და შფოთი დასთესონ საზოგადოებაში, უკმაყოფილება გამოიწვიონ, სხვისი თავ-მოყვარეობა შეჰლახონ და თავიანთ ქვემძრომ განზრახვათა გამარჯვებისათვის გამოიყენონ ეს შფოთი და უთანხმოება. ბათომში არსებული რუსული გაზეთი „ჩერნომორსკი ვესტნიკი“ სწორედ ამნაირი შფოთის მთესველი გაზეთია. ყური დაუგდეთ, რასა სწერს ქუთაისის ინციდენტის შესახებ.

„ზოგიერთი გაზეთები აზვიადებდნენ და აზვიადებენ ქუთაისის ქართულ სკოლაში მომხდარ ინციდენტს და ამასთან ქუთაისის პოლიცმეისტერს ბ. ლისოვსკისაც ჩირქსა სცხებენ.

„თუმცა დაწვრილებით ვიცით, როგორ მოხდა ეს ამბავი, მაგრამ, რადგან საქმის ოფიციალური გამოძიება სწარმოებს, ამიტომ ჯერ-ჯერობით გავჩუმდებით.

„ორმა ლორთქიფანიძემ და ერთმა ბაქრაძემ გუბერნატორთან ბ. ლისოვსკის უჩივლეს. სკოლის ინსპექტორს, ოცხელსაც, როგორც „არგონავტი“ ირწმუნება, ფორმალური საჩივარი (!!) შეუტანია, რომელშიაც უფლებათა უკანონოდ მომხმარებას აბრალებს ბ. ლისოვსკის.

„ოჰ, როგორ შეგვაშინეს.

„საქმის გამოძიების გათავების შემდეგ ჩვენ ვუამბობთ მკითხველებს ამ ამბავს, რომელსაც ასე ამახინჯებენ ბ. აკადემიკოსები.

„რა უნდათ ამ ბ. აკადემიკოსებს? თავიანთ თავს ცხვრებად რად აჩვენებენ, რომლებიც „რუსს“ დასაკლავად გაუწირავს?

„ვურჩევთ, მომჩივანმა ოცხელმა უფრო გულმოდგინეთ ადევნოს თვალ-ყური იმას, რაც ხდება იმის სკოლაში, და რუსების მოძულე გაზეთები ჭეშმარიტებას უფრო თავაზიანად მოექცნენ...“

კილოს და სიტყვებს დააკვირდით? „ორი ლორთქიფანიძე“ და „ერთი ბაქრაძე“-ო!.. „ოჰ, როგორ შეგვაშინეს“!.. „ვურჩევთ, მომჩივან ოცხელმა, უფრო გულმოდგინეთ ადევნოს თვალ-ყური იმას, რაც ხდება იმის სკოლაში“!.. და სხვა.

ოპერეტის დასის აქტიორს, „ჩერნომორსკის ვესტნიკის“ რედაქტორს ისე ამაყად უჭირავს თავი, ისე აქვს ზურგი გამაგრებული, რომ უბრალო ზრდილობა რა არის, ისიც კი ავიწყდება. „ორი ლორთქიფანიძე და ერთი ბაქრაძე!.. „ჩერნომორსკი ვესტნიკმა“ კარგად იცის, რომ ორ ლორთქიფანიძეში, ერთი თავად-აზნაურთა წინამძღოლია და მეორე—ქუთაისის ქალაქის თავი, ხოლო ბ. ბაქრაძე ოცდაათი წელიწადი მომრიგებელ მოსამართლეთ ნამყოფი კაცია. „ჩერნომორსკი ვესტნიკმა“ ისიც იცის, რომ თავ. ს. ლორთქიფანიძე წინამძღოლობის გარდა, კამერჰერიც არის. იცის ეს და მაინც განზრახ აჩვენებს საზოგადოებას, რომ არც თავად-აზნაურთა წინამძღოლის, არც ქალაქის წარმომადგენლის, არც მოსამართლისა არავითარი პატივისცემა არა აქვს. ჩვენთვის ყველასათვის, განურჩევლად მიმართულებისა, აშკარაა, რას ნიშნავს ამგვარი უპატივცემულობა ქართველთა სხვა-და-სხვა წარმომადგენლებისადმი ისეთის გაზეთის მიერ, როგორიც არის „ჩერნომორსკი ვესტნიკი“. ჩვენ ისიც ვიცით, რას ჰნიშნავს ბ. ოცხელისადმი მიმართული რჩევა: სკოლას მოუარეო, თორემ მე ვიციო, დაწვრილებით ვიცი თქვენი ოინები. ნუ გამაჯავრებთ და ნუ მათქმევინებთ. რომ უჩივით პოლიცმეისტერს, რას უჩივით. ძალიან არ შეგვაშინოთ თქვენის საჩივარითო.

ამაზე მეტი კადნიერება და თავხედობა იქნება-ღა? კანონიერ ჩივილის უფლებასაც გვართმევს „ჩერნომორსკი ვესტნიკი“! კანონიერ საჩივარშიაც ჰპოულობს რუსებისადმი მძულვარებას!.. არა, მართლაც-და საცოდავი და უბადრუკი ხალხი ვყოფილვართ, რომ დაბალ ღობედ რეპორტიორებმაც კი მიგვიჩნიეს და გვაბოტებენ და გვადალაჯებენ თავიანთ უწმინდურის ფეხებით.

არჩილ ჯორჯაძე

ტყუილი შიში

(1-ლ რაიონის ამომრჩევლების კერძო კრების გამო)

საქალაქო არჩევნების დროს ბრძოლის სურათი ბევრს ჩვენგანს რაღაც გაუგებარს შიშს ჰგვრის: თითქოს იგი რეგრესიული, ანტი-ლიბერალური მოვლენა იყოს და თანაც ჩვენთვის უბედურების და დამარცხების მეტს არაფერს მოასწავებდეს.

მართალია ეს და რაიმე საფუძველი აქვს?

ქართველებს გვინდა, რომ რაც შეიძლება უკეთესად მოეწყოს ტფილისის თვით-მართველობის საქმეები, მაგრამ ამასთან ისიც გვინდა, რომ ჩვენც მივიღოთ მონაწილეობა თვით მმართველობაში, ჩვენც ვერიოთ ქალაქის მამების რიცხვში და მოგვეცეს ისეთი ადგილი, რომელიც შეეფერებოდეს ჩვენს რიცხვს და ძალას ტფილისში. ეს არის ჩვენი სურვილი—ეს არის ჩვენი ბრძოლა. ნუ თუ არ უნდა გვქონდეს ეს სურვილი, ან უნდა დავმარხოთ, დავმალოთ და რომ დავმალოთ კიდეც, ვინმე დაგვიჯერებს, რომ არა გვაქვს ეგ სურვილი?

ქართველებს უნდათ, ქართველი ხმოსნები იყვნენ ტფილისის საბჭოში! რა არის აქ უკანონო, უსამართლო, ან არა სასურველი?

პირ-იქით, სრულიად სამართლიანია და სასიამოვნო ეს.

და რაკი არის სურვილი, სურვილი ნიადაგიანი და გამორკვეული, უნდა იყოს ცდა და მეცადინეობა ამ სურვილის განხორციელებისა, ფიქრის საქმედ გარდაქცევისა. ვინც ასე არ მოქმედობს, ის ავადმყოფია, აქტიურ ძალას მოკლებული...

მაშ არც ეს ცდაა სამარცხვინო, და არა სასურველი ბრძოლა.

შეიძლება თვითონ ბრძოლის ტაქტიკა იყოს ავეთი? ეგ ტაქტიკა ვერავითარს შემთხვევაში ვერ იქნება პასსიური, „ცხვრული“, თუ შეიძლება აგრე ვსთქვათ: შევადგინოთ ქართველ კანდიდატების სია და წარვუდგინოთ სხვა ამომრჩევლებს თავ-დაბლად, თუ კეთილ ინებებენ და ამოგვირჩევენ, ძალიან კარგი, თუ არა, თავი დავუკრათ და წამოვიდეთ სახლში.

ასეთი პოლიტიკა ყოველთვის დამღუპავია. ჩვენ მაგას ვერ მივმართავთ. უნდა მხნედ ვიმოქმედოთ, ვარჩიოთ, ვეძიოთ ენერგიულად, აქტიურ გზას დავადგეთ!

ევროპის არც ერთი პარტია არ არის ყოვლად შემძლებელი. ერთი პარტია უერთდება მეორეს, ერთი მეორეს უთმობს, მცირე პარტიები შეერთებით ძალას იძენენ, საერთო მიზნისათვის სხვა-და-სხვა პარტიები კავშირდებიან.

ქართველი ამომრჩევლები არამც თუ ყოვლად შემძლებელნი არა ვართ, ძლიერ მცირეს შემძლებელნი ვართ, და აუცილებლივ სხვებს უნდა შევურიგდეთ და მივეკედლოთ. მაგრამ ვის?

ამის შესახებ სიტყვას არ გავაგრძელებთ, მხოლოდ ერთიც რამ უნდა გვახსოვდეს ქართველებს მომავალი არჩევნების დროს: პატივს იმას სცემენ, იმასთან იჭერენ საქმეს და უერთდებიან, ვინც რამე ძალას წარმოადგენს. ამიტომ ქართველების უმთავრესი მეცადინეობა უნდა იყოს, რომ ყველა ჩვენი ამომრჩეველი დაესწროს საარჩევნო კრებებს,

ყველა ამომრჩეველს შეგნებული ჰქონდეს, ვის ირჩევს და რად.

მაშ, აქტიური და ენერგიული მოქმედება სურვილის განსახორციელებლად, აი ეს იყოს ჩვენი დევიზი.

გალამი.

საზღვარ-გარედ

საფრანგეთი. მოგვყავს ვალდეკ-რუსოს საუბარი დეპუტატ ემანუილ არენთან. არენის სიტყვით, საფრანგეთის პირველ მინისტრს შესანიშნავის სინამდვილით უნიწასწარმეტყველებია საპარლამენტო არჩევნების შედეგი.

— ჩემი წინასწარმეტყველებაო, უთქვამს კალდეკ-რუსოს, თითქმის სავსებით გამართლდა, მაგრამ ამით თავის მოწონებას არ ვფიქრობ. სწორე წინასწარმეტყველებისათვის საჭიროა მხოლოდ არ იყო სრულებით გამოუცდელი პელიტიკოსი და არ უნდა უყურებდე ქვეყნის მდგომარეობას ზერელე. საფრანგეთში ყველაფერი დამშვიდებული და დაწყნარებული იყო და მხოლოდ მის ზედაპირზე ხელოვნურად გამოიწვიეს მღელვარება. მიუხედავათ მეტად ენერგიული გალაშქრებისა ეხლანდელი სამინისტროს წინააღმდეგ, მიუხედავათ წარმოუდგენელ კოალიციებისა დასებ შორის, ვერ მოხერხდა მტრულ ძლიერ მიმდინარეობის შექმნა ამომრჩევლებ შორის.

ვალდეკ-რუსოს სიტყვით, ახალ პარლამენტში ნამდვილი რესპუბლიკელების უმრავლესობა შემდგარი იქნება იმავე ელემენტებისაგან, რომელნიც ძველ პარლამენტში იყვნენ, იმ განსხვავებით, რომ მას ოცამდე ახალი ხმა მიემატება.

არენი შეკითხებია კალდეკ-რუსოს სამსახურიდან გადადგომის შესახებ, მაგრამ პირდაპირი პასუხი ვერ მიუღია.

— ყოველ ექვს გარეშეაო, უთქვამს პირველ მინისტრს, რომ მე დავრჩებოდი არჩევნების შედეგი საეჭვო რომ ყოფილიყო. მაშინ საჭირო იქნებოდა ბრძოლის განგრძობა. საბედნიეროდ, ეხლა ასეთი აუცილებელი საჭიროება აღარ არსებობს, რადგან არჩევნები სასურველად დამთავრდა.

დასასრულ ვალდეკ-რუსოს ღიმილით უთქვამს: „მე არ გეტყვით, თუ როგორ მოვიქცევი, მაგრამ ერთის თქმა კი შემიძლია—ეხლა უფრო თავისუფალი ვარ ესა თუ ის არჩევანი მოვახდინო.

∝ ვალდეკ-რუსოს სამინისტროს მომხრეებმა გაიმარჯვეს, მაგრამ არა ისე, როგორც ამას მოელოდნენ. უმთავრესი მიზეზი ასეთ არა სასიამოვნო მოვლენისა ის იყო, რომ ოპოზიცია უფრო ენერგიულად და ერთსულ მოქმედებდა. როგორც ვიცით, 170-მდე ხელ-ახალი არჩევანი უნდა მოხდეს, ვალდეკის მომხრეებმაც გადასწყვიტეს ეხლა გაასწორონ თავიანთი შეცდომა. ბევრი კანდიდატი უარს ამბობს კენჭის ყრაზე და თვის ხმებს უთმობენ სხვებს, რომ რეაქციონერები არ გაიმარჯვონ. ბევრ ამისთანა მაგალითებ შორის მოვიყვანთ რამდენიმეს: ფონტენებლოში ცნობილ ადვოკატმა ლაბორიმ თავის ხმები დაუთმო სოციალისტების კანდიდატს, რომ ნაციონალისტმა არ გაიმარჯვოს. პარიზში სოციალისტმა დაუთმო ადგილი რადიკალს. ყველაზე მეტ ყურადღებას იქცევს ბრისონის კანდიდატურა: რადგანაც პარიზში საეჭვო შეიქნა ბრისონის ამორჩევა, რესპუბლიკელებმა წინადადება მისცეს მას მიეღო კანდიდატურა დიეპში. ამ საარჩევნო ოლქში კენჭი იყარეს სამმა რადიკალმა, რომელთაც ერთად მიიღეს 12,512 ხმა, და ორმა ნაციონალისტმა, რომელთაც მხოლოდ 2800 ხმა მოუვიდათ. რადიკალებმა რომ ბრისონის ამბავი გაიგეს, უარი სთქვეს თავიანთ კანდიდატურაზე და წინადადება მისცეს ამომრჩევლებს ბრისონი ამოერჩიათ. ბრისონი ჯერ უარზე იდგა, მაგრამ ბურჟუას, პელტანის და სხვების შეგონებით იგი დასთანხმდა კენჭის ყრაზე.

∝ **ამერიკა და ფილიპის კუნძულები.** ინგლისელების მდგომარეობისა არ იყოს სამხრეთ აფრიკაში, ამერიკელების მდგომარეობაც ფილიპის კუნძულებზე მეტად საეჭვო ხდება. თავდადებული ყვითელი-კანიანი ფილიპელები მედგრად და დაუღალავად იბრძვიან თავისუფლებისათვის, მიუხედავათ ამერიკელი ჯარის საშინელი სისასტიკისა. გმირ აგვინალდოს დატყვევების შემდეგ ყველას ეგონა, რომ ფილიპელები იარაღს დაყრიდნენ და ამერიკელებს დამორჩილდებოდნენ, მაგრამ, ფილიპელების სასახელოდ, ეს მოლოდინი არ გამართლდა: ეხლაც ისევე მხნედ იბრძვიან, როგორც აგვინალდოს დროს.

ამერიკელების მდგომარეობა ეხლა კიდევ უფრო უარესი უნდა შეიქნეს, რადგან მოძრაობაში მონაწილეობის მიღება კუნძულ მინდანაოს მცხოვრებლებმაც დაიწყეს.

კუნძული მინდანაო, რომელიც სიდიდით თითქმის საფრანგეთს უდრის, დასახლებულია ომის მოყვარე გამაჰმადიანებულ თემებისაგან. ესპანიამ სამის საუკუნის განმავლობაში ვერ მოახერხა ამ თემების დამორჩილება. მანილასთან ბრძოლის შემდეგ ამერიკელები დიდის სიფრთხილით სცდილობდნენ არავითარი შეტაკება არ მოსვლოდათ მინდანაოელებთან, რომელთაც თითქმის სრული დამოუკიდებლობა დაუტოვეს.

ეხლანდელი აღელვება დაიწყო მინდანაოში შემდეგ შემთხვევის გამო: რამდენიმე ამერიკელ ჯარის კაცმა გაუფრთხილებლად დაანებეს თავი ნაპირზე მდგომარე გარნიზონებს და კუნძულის შიდა ნაწილისაკენ წავიდნენ. მეორე დღეს ამ ჯარის კაცების თავები ნახეს ტომარაში ჩაყრილი ამერიკელ უფროს აფიცრის კარებთან. ამერიკის ელჩის ბრძანებით, გენერალ ჩაფიმ ექსპედიცია გაგზავნა მკვლელების საპოვნელად და დასასჯელად. ექსპედიციამ მხოლოდ ის ჰქნა, რომ გამოიწვია თითქმის ყველა მინდანაოელების აჯანყება ამერიკელების წინააღმდეგ. გენერალ ჩაფი ვერაფერს ახერხებს ჯერ-ჯერობით; მის ხელშია მხოლოდ რამდენიმე პუნქტი ნაპირზე, მაგრამ კუნძულის შიდა-ნაწილებისაკენ წასვლას ვერ ბედავს.

ამბობენ, ვითომც რუზველტს დეპეშა გაეგზავნოს ჩაფისათვის და ეთხოვოს, ჯერ დიპლომატიურ საშუალებით იმოქმედე, იქნება უომრად მოეწყოს საქმე, თორემ, ვინ იცის, ომი როგორ გათავდებაო.

იტალია. დაუვიწყარ გმირ მამულის შვილის გარიბალდის სიკვდილის დღეს, აუარებელი ხალხი აპირებს წასვლას კუნძულ კაპრერაზე, სადაც უკვდავი ეროვნული გმირი, ყველასათვის ძვირფასი და დასაფასებელი, რამდენიმე წელიწადი სცხოვრობდა და სადაც ბოლოს სული განუტევა. ეს პატარა და კლდიანი უნაყოფო კუნძული იტალიის მთავრობამ აჩუქა გარიბალდის, რომელმაც ორჯელ უარი სთქვა მისგან განთავისუფლებულ სიცილიის მეფობაზე. კაპრერაზე გარიბალდი რამდენიმე წელიწადი მეტად ღარიბად სცხოვრობდა და როცა ეს ამბავი გაიგეს რომში, რამდენიმე დღეში 500.000 ფრანკი შეაგროვეს, მაგრამ გარიბალდიმ ამ ფულიდან მხოლოდ რამდენიმე ასი ფრანკი აიღო; დანარჩენი ფული მან გადასდო რომის ჭაობების დასაშრობად.

განზრახვა აქვთ, დაუდგან კაპრერაზე გარიბალდის დიდებული ძეგლი, მაგრამ იტალიის პრესა წინააღმდეგია, რადგან იგი სრულებით არ შეეფერება გმირის მორცხვსა და თავდაბალ ხასიათს; გაზეთების აზრით, სრულებით საკმარისი იქნება, თუ გარიბალდის სადგომის პირდაპირ კლდეზე ოქროს ასოებით დააწერენ: „მადლობელი იტალია დიდებულ თავის შვილს ჯუზეპე გარიბალდის. 1902 წელი“.

ახალი ამბავი

◆ ტფ. **სათავად-აზნ. ბანკის** რწმუნებულთა კრებას გუშინ ჰქონდა მეორე და უკანასკნელი სხდომა. ამრიგად, ორ დღეში განხილულ იქმნა ყველა დანიშნული საქმეები და არჩევნებიც იქმნა მოხდენილი (ანგარიში იხ. ქვემოდ).

◆ დღეს, საღამოს 8 საათზე, ტფ. არტისტიულ საზოგადოების შენობაში დანიშნულია კრება „კავკასიელ **სტუდენტთა დამხმარებელი საზოგადოების**“ დამფუძნებელთა და თანამგრძნობთა. კრებამ მმართველნი უნდა აირჩიოს.

◆ გუშინ, 26 აპრილს, ტფილისიდან ბაქოში გაემგზავრა კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწე **ა. ა. ფრეზე** მისის უდიდებულესობის სპარსეთის შაჰის შესაგებებლად.

◆ ხვალ, 28 აპრილს, საღამოს 8 საათზე, სახალხო კითხვათა სადგომში, ავჭალის ქუჩაზე, დანიშნულია **ამომრჩეველთა მე-3 რაიონის კომიტეტის** სხდომა, რომელზედაც განხილულ იქმნება სია იმ კანდიდატებისა, რომელთა არჩევა ხმოსნებად ამ რაიონის ამომრჩეველთ მოუსურვებიათ.

◆ 25 აპრილს სამოსამართლო პალატაში განხილულ იქმნა საქმე ბაქოს სომეხთა **კაცთ მოყვარე საზოგადოებისა და სამოსწავლო უწყებისა** სადავო მამულის შესახებ; სამოსწავლო უწყების ინტერესებს პალატაში გუშინ-წინ იცავდა პეტერბურგიდან ამ დღეებში ჩამოსული სახალხო განათლების სამინისტროს საბჭოს წევრი ტ. სოვეტ. ვ. ნ. მამონტოვი. პირველად ეს საქმე განუხილავს ბაქოს ოლქის სასამართლოს, რომელსაც მამული უცვნია სამოსწავლო უწყების საკუთრებად. სომეხთა საზოგადოება აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე არ დათანხმებულა და ოლქის სასამართლოს განაჩენი განუსაჩივრებია სამოსამართლო პალატაში. პალატამ ერთი საათის თათბირის შემდეგ გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც შეუცვლელად იქმნა დამტკიცებული ოლქის სასამართლოს გადაწყვეტილება. პალატამ ამასთანავე გადასწყვიტა გარდახდეს 800 მან. საქმის საწარმოებელი სომეხთა კაცთ მოყვარე საზოგადოებას სამოსწავლო უწყების სასარგებლოდ.

◆ 28 აპრილს, კვირას, ქალაქის სახაზინო თეატრში გაიმართება ლიტერატურული დილა რუსეთის **პოეტის ჟუკოვსკის** სახსოვრად. ლიტერატურულ დილას დაესწრებიან ტფილისის ყველა საშუალო სასწავლებლების მოწაფენი.

◆ ტფილისის საქალაქო სკოლების ვაჭგე კომისიის თავმჯდომარემ აუწყა ქალაქის თავის მოადგილეს, რომ, მიუხედავად კომისიის მოთხოვნისა, სახელოსნო სასწავლებლის დირექტორი ოგანეზოვი დღემდის არ არდგენს **საჭირო განმარტებას** იმ შენიშვნების შესახებ, რომელიც მას უჩვენა განსაკუთრებულმა კომისიამ კავკასიის სამოსწავლო უწყების დავალებით. თავმჯდომარე განაცხადებს, რომ რადგანაც ოგანეზოვი არ ასრულებს კომისიის მოთხოვნას, ამის გამო კომისია ხელ-შეკრულია და საქმეს ვერ აკეთებსო.

◆ ხუთშაბათს, 25 აპრილს, ტფილისის პირველ კლასიკურ გიმნაზიის დარბაზში ტფილისის **პირუტყვთა მფარველ** საზოგადოების წევრთა საზოგადო სხდომა მოხდა. სხდომაზე ლაპარაკი იყო იმაზე, თუ როგორ იდღესასწაულონ საზოგადოების ოცდა ხუთის წლის არსებობის დღესასწაული. ხმის უმეტესობით კრებამ დაადგინა, გადაიდოს დღესასწაული, ვიდრე სახლის აშენებას არ მორჩებიან რიყეზე, რომელიც საზოგადოებამ შეიძინა თავის საჭიროებისათვის. ხოლო ოთხ მაისს, ოცდა ხუთი წლის შესრულების დღეს, უნდა აკურთხონ ახალი შენობის საძირკველი, პარაკლისი გადაიხადონ, გაუგზავნონ მილოცვის დეპეშა დიდ მთავარს მიხეილ ნიკოლოოზის ძეს, რომელიც ამ საზოგადოების მფარველად ითვლება დაარსებიდან საზოგადოებისა და აგრეთვე ზოგიერთ საპატიო წევრებს. გარდა ამისა, დაადგინეს, დარბაზში დაჰკიდონ ამ საზოგადოების მოთავის სურათი—გარდაცვალებულის ბეითლის მეშჩერსკისა.

◆ უმთავრეს სამოსწავლო სამმართველოს მინდობილობით, ტფილისში ჩამოვიდა გენერალ-მაიორი ბარსოვი, რომელმაც უნდა გაიცნოს, როგორ არის როგორც სამოსწავლო, ისე საოჯახო საქმე დაყენებული ტფილისის **იუნკერთა სასწავლებელში**. გენერალ-მაიორი ბარსოვი კიდეც შეუდგა თავის საქმეს.

◆ **სასწავლებელთა გამგე კომისიამ** თვის უკანასკნელ სხდომაზედ, 25 აპრილს, განიხილა მოხსენება კომისიის წევრის ა. ს. ბაბოვისა იმის შესახებ, რომ ავლაბარში ვარშამოვის მიწა, ზომით 356 ოთხ. კუთ. საჟენი, რომელსაც იგი უთმობდა ქალაქს

ფელეტონი

წერილი ჟენევიდან

გაზაფხული.—ბავშვების მოვლა.—აღდგომა ჟენევაში.—ახალი დღესასწაული.—ყასბების პროცესია.

გაზაფხულის ნიავმა დაჰქროლა“ და ჟენევის ისედაც დიდი ბუნება პატარძალივით მორთო. ტყე-ველი საამურად ამწვანდა, ბაღებში ყვავილები გაიფურჩქნენ, ხოლო ყოველივე ამას მაღლიდამ ამაყად გადმოყურებს მონ-ბლანი (Mont-Blanc). ხალხი ამოძრავდა, ქუჩებს თანდათან ემატება სიცოცხლე; თითქმის ყოველ ქუჩაზე სმენას ატკბობს მუსიკის ხმა: ორკესტრი, მომღერლები ყავა-ხანების წინ, რაც ხშირი მოვლენაა ჟენევაში, და სხ. ამოძრავდენ ბავშვებიც, რომლებიც თოვლისა და წვიმის გამო ვერ ბედავდენ ბაღებში, ქუჩებში და მოედნებზე თამაშს აქამდის. ხოლო გამოზაფხულდა თუ არა, ისინი გამოეფინენ გარედ, სადაც თან მოაქვსთ სხვა და სხვა სათამაშოები და თითქმის მთელ დღეს ატარებენ აქ. მოთამაშე ბავშვებს შორის უფრო 3—4 წლისანი არიან, რადგან ამ [illegible] ბავშვებს [illegible] [illegible] და დილა-საღამოს სკოლაში ატარებენ. საყურადღებოა პატარა ქალების საქციელი: შეიქნებიან „თუ არა ორი წლის, მაშინვე მშობლები ყიდულობენ მათთვის მოზრდილ დედოფალას და მასთან ბორბლებიან კალათებს, რომლებშიაც პატარა ქალები აწვენენ მორთულ დედოფლებს და მიჰყავთ სასეირნოთ ბაღებში. უნდა უყუროთ, რა სიფრთხილით ეპყრობიან, რომ კალათი არ გადაუბრუნდესთ და მათ პატარა „ქამიშვილს“, როგორც ისინი უწოდებენ, არა ავნოს-რა. ვინიცობაა წვიმამ მოუსწროთ ბაღში, ისინი სწრაფად გადმოხურავენ კალათებს და იმავე სიფრთხილით გაექანებიან სახლში. ამ ნაირად მშობლები აჩვევენ თავიანთ პატარა ქალებს ბავშვების მოვლას. როცა ბავშვები კარგად გავარჯიშდებიან დედოფალაზე, მშობლები მათ ანდობენ ნამდვილ ბავშების მოვლას და სეირნობას. ხშირად შეხვდებით ბაღებში პატარა ქალებს, რომლებსაც კალათით გამოუყვანიათ პატარა-ძუძუ-მწოვარა თავის და-ძმათი და ასეირნებენ წმიდა ჰაერზე. საზოგადოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ბავშვების მოვლას და ფიზიკურად განვითარებას აქ დიდ ყურადღებას აქცევენ. ამიტომაც არის, რომ შვეიცარიელი ქალები საუკეთესო ბავშვების აღმზრდელად ითვლებიან. ჟენეველ ბავშვებზე შეიძლება ითქვას, რომ ისინი სწავლის დაწყებამდის მთელ დროს ატარებენ მინდვრებში და ბაღებში, აქ სძინავთ, აქ იკვებებიან, აქ იზრდებიან... ძვირად შეხვდებით ისეთ ჯანსაღსა და ფეროვან ბავშვებს, როგორც ჟენევაშია. გამახსენდება ხოლმე ჩვენებური მეტს წილად დაყვითლებული ბავშვები, რომლებსაც არა თუ ბაღებში და მოედნებზე უშვებენ სათამაშოდ მშობლები, ფანჯრის გაღებასაც სასტიკად უკრძალავენ შინ-მყოფს, რომ ბავში არ გაცივდესო. ხშირად გაიგონის ჩვენში ჩივილი მშობლებისაგან, რომ ჩვენ შვილს სიოს არ ვაკარებთ, მაგრამ მაინც არ არის ჯანმრთელი, მაშინ როცა ზოგიერთი ბავშვი ფეხშიშველა დადის, წვიმას და ტალახს არ ერიდება, მაგრამ მას ჯანიც უკეთესი აქვს და ფერიც ჩვენ შვილზედო. ასეთი გოდება მრავალი ისმის ჩვენში და დღემდისაც ვერ შეუგნიათ, რომ უმთავრესი მიზეზი სუსტის ორგანიზმისა დახშული ჰაერია.

რადგან გაზაფხულზე დავიწყე ლაპარაკი, შევეხები იმ დღესასწაულსაც, რომელსაც საზოგადოდ არ აშორებენ გაზაფხულს და რომელსაც მთელი საქრისტიანო „დღესასწაულთა დღესასწაულს“ უწოდებს, ე. ი. აღდგომას. ეს დღესასწაული ჟენევამ იდღესასწაულა 30 მარტს (ახალი სტილი) და სწორედ ამ დღეზე მინდა ვთქვა რამდენიმე სიტყვა. იქნებ მკითხველმა იფიქროს, რომ რადგან ამ დღესასწაულზე მინდა საუბარი, ალბად, რაიმე განსაკუთრებით ჩვეულებანი შემინიშნავს ამ დღეს ჟენეველებისთვის, მაგრამ, როგორც ქვევით დაინახამს, ჟენეველებს იმ ჩვეულებასაც ვერ ამჩნევს კაცი, რასაც ჩვენში...

უნდა გამოვტყდე, რომ ეს დღესასწაული პატარაობიდან მიყვარდა და ყოველთვის რაღაც განსაკუთრებითი გრძნობით ვეგებებოდი მას. ეს დღე მაგონებდა იმ მაღალ არსებას, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლე იღვწოდა ადამიანის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის, დაჩაგრულთა უფლებების მოპოვებისათვის და დესპოტთა და კერპების დამხობისათვის. მაგონებდა იმ დიდ მასწავლებელს, რომელიც წინააღუდგა ყოველივე უსამართლობას, არ მოერიდა დამცირებას, ეკლიან გვირგვინს, საპყრობილეს და, როცა საჭიროთ დაინახა, ჯვარცმასაც კი, მიუხედავად იმისა, რომ ის გრძნობდა დამცირებასაც, ტანჯვასაც, ტკივილსაც, რასაც ნათლად გვიჩვენებს ქრისტეს ლოცვა გეთსამანის ბაღში, სადაც ის თხოვს უმაღლეს არსებას, რომ თუ შესაძლოა, ამაშორე ეს სატანჯველი, მაგრამ ისე კი არა, როგორც მე მინდა, არამედ ისე, როგორც შენო...

მიუხედავად ყოველივე ამისა, მისი მისწრაფება-იდეალი ისეთი ძლიერი იყო, რომ მან, ახალ

საქალაქო სკოლის ახალი შენობისათვის, გამოუსადეგარია აღნიშნულ მიზნისათვისო. კომისიამ გარდასწყვიტა უარ-ჰყოს ვარშამოვის წინადადება დანიშნულ მიწის დათმობის შესახებ. ამავე სხდომაზედ კომისიამ გადასწყვიტა გადაიდოს 300 მან. მოსკოვიდან ბუნდოვან სურათების მაჩვენებელ ფარანის გამოსაწერად.

◆ მთავარ-მართებლის კანცელარიამ მიმართა ქალაქის თვით-მმართველობას სამხედრო პირთა **ბინის გარდასახადის** შეცვლის შესახებ.

◆ ხუთი მაისიდან დიდუბეში, სადაც დოლი იმართება, გაიხსნება **ცხენების ბაზარი**, რომელიც გასტანს თვრამეტ მაისამდის. რომ უფრო მეტი ხალხი მოიზიდონ ამ ბაზარზე, მოთავეებმა გადასწყვიტეს, განცხადება დაარიგონ მცხოვრებლებში.

◆ თანახმად ქალაქის ლომბარდის გამგეთა შუამდგომლობისა, მესამე ობლიგაციის სესხიდან გარდაეცა ლომბარდს 10,000 მან. მისი თანხის **გასაძლიერებლად**.

◆ ამ დღეებში ვერაზე მუშაობის დროს ტუსაღი კონსტანტინე ციციაშვილი სადღაც მიიმალა. ციციაშვილს ტფილისის ოლქის სასამართლოსაგან გადაწყვეტილი აქვს წლი-ნახევრით პატიმართა რაზმში ყოფნა. ციციაშვილი გაიქცა შუადღისას, როდესაც ყველანი უყურებდნენ. დაედევნენ ტუსაღების ზედამხედველები რევოლვერის სროლით, მაგრამ ვერას გახდნენ; ციციაშვილი უებად სადღაც მიიმალა.

ქუთაისის ახალი ამბები

∽ 24 აპრილს, დილის $10\frac{1}{2}$ საათზე, ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურნი შეიკრიბნენ ქალაქის თეატრის შენობაში. 11 საათზე მობძანდა გუბერნიის მმართველი ბ. სმაგინი და გახსნა საზოგადო კრება. ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა კამერგერმა ს. ნ. ლორთქიფანიძემ მიმართა ბ. გუბერნატორს მოკლე, მაგრამ გძნობიერი სიტყვით, რომელშიაც გამოიხატებოდა ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა სიხარული იმის გამო, რომ გუბერნიის მმართველად დანიშნულ იქნა რუსის აზნაურის ოჯახის შვილი, და იმედი, რომ ის, თანახმად პირველად ჩამობრძანების დროს წარმოთქმულის სიტყვისა, დაიცავდა საზოგადოთ ქართველ ერისა და კერძოთ ქართველ თავად-აზნაურთა ინტერესებს. ამაზე ბ. გუბერნატორმა უპასუხა, რომ ის საჭიროთ არა სთვლის გაიმეოროს ის სიტყვა, რომელიც პირველ ჩამოსვლისას წარმოსთქვა, და დაარწმუნა საზოგადოება, რომ ის ამ სიტყვას არასოდეს არ გადუხვევს. ამას მოჰყვა სიის კითხვა იმ თავად-აზნაურთა, რომელთაც არჩევნებზე მონაწილეობის მიღების ნება აქვთ. შემდეგ თავად-აზნაურობა გაემართა ფიცის მისაღებად საკათედრო ტაძარში, სადაც დეკანოზმა მ. ცაგარეიშვილმა მათ შესაფერის სიტყვით მიჰმართა. ფიცს შემდეგ თავად-აზნაურობა დაბრუნდა ისევ თეატრის დარბაზში, სადაც წაკითხულ იქმნა საქართველოს რუსეთთან შეერთების ასი წლის დღესასწაულის გამო პეტერბურგში გაგზავნილ დეპუტაციის მოქმედების ანგარიში. შემდეგ დადგენილ იქნა: ა) გადაიხადონ პარაკლისი ხელმწიფე იმპერატორის სადღეგრძელოთ და ბ) გაუგზავნონ სამადლობელი დეპეშები მისს უდიდებულესობას ხელმწიფე იმპერატორს და მისს უმაღლესობას მიხეილ ნიკოლოზის ძეს. ნაშუადღევის $1\frac{1}{2}$ საათზე სხდომა შესწყდა და გადაიდვა 25 აპრილის დილის 10 საათისათვის.

∽ ალ. ლორთქიფანიძისა და დუდუჩავას დასჯის შესახებ შემდეგს გვწერენ: განაჩენის შესრულებას დასწრებიან: ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი, ბრალმდებლის ამხანაგი მალინოვსკი, საოლქო სასამართლოს მდივნის თანაშემწე შოვი და ქალაქის გამგეობის მხრით ბ-ნი ბახტაძე. ლორთქიფანიძესა და დუდუჩავას არაფერი არა უთქვამთ-რა, მხოლოდ ლორთქიფანიძეს ეს ეთქვა: „წუხელის მთელი ღამე არა მძინებიაო“.

ლორთქიფანიძე სამხედრო სამსახურში ყოფილა ნამსახური, ამიტომაც თოფით დახვრეტა მიუსაჯეს, დუდუჩავა-კი ჩამოარჩეს. ლორთქიფანიძისათვის თორმეტი თოფიდან უსვრიათ ტყვია და ამათგან მხოლოდ ერთი მოჰხვედრია შუბლში და ამას მოუსპია სიცოცხლე დასჯილისათვის.

როცა დანარჩენებისათვის გამოუცხადებიათ, რომ სიკვდილით დასჯა კატორღად შეგეცვალათო—ტირილი დაუწყიათ.

∽ ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლაში ამას წინად გამართულს საღამოზე, როდესაც ცნობილი ინციდენტი მოხდა, ქუთაისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, თავ. დ. ო. ნიჟარაძე არა ყოფილა, როგორც ეს შეცდომით შეგვატყობინეს ქუთაისიდან.

∽ აღდგომის მეორე დღეს ქუთაისის სემინარიის მასწავლებლებმა გამოსათხოვარი ვახშამი გაუმართეს ახლად გორის ეპისკოპოსად აღკვეცილს სემინარიის რექტორად ყოფილს მამა ბენიამინეს. ვახშამს დაესწრო სემინარიის მთელი კორპორაცია, აგრეთვე ისინიც, რომელთაც წინად უმსახურნიათ მამა ბენიამინესთან და ამ ჟამად კი სხვა სასწავლებლებში მსახურებენ.

ქუთაისიდან წამოსვლის წინადღეს მამა ბენიამინე იმერეთის ეპისკოპოსთან, ყოვლად სამღვდელო ლეონიდთან იყო გამოსათხოვრად.

∽ 21 აპრილს აქ მიწას მიაბარეს აქაური გიმნაზიის მერვე კლასის მოსწავლე, უდროოთ გადაცვლილი ალექსანდრე გიორგობიანი. საუკეთესო მოწაფედ ითვლებოდა თურმე ეს ყმაწვილი თავის იშვიათის მეცადინეობითა, ყოფა-ქცევით და განვითარებით. ამიტომაც გიმნაზიის მთავრობას ეს მოსწავლე განთავისუფლებული ჰყავდა სასწავლო ფულის გარდასახადისაგან.

გამოსვენებას დაესწრნენ გიმნაზიის დირექტორი, მასწავლებელნი და მოსწავლენი ყოველ კლასებისა, აგრეთვე მრავალი საზოგადოებაც.

∽ არ იქნა, ვერ შეჩვიენ ქუთაისის საბჭოს ხმოსნები თავის მოვალეობის ასრულებას! თუმცა ბევრი საგულისხმიერო საგანი ჰქონდა 22 აპრილს გასარჩევი საბჭოს, დიდი ხვეწნა-მუდარა შეუთვალა ქალაქის მოურავმა ხმოსნებს, მაგრამ... საკმაო რიცხვი ხმოსნებისა მაინც არ გამოცხადდა.

ღამის ცხრა საათზე ძლივს ათამდე ხმოსანი მოვიდა. ათის ნახევარზე კანონიერ რიცხვს აკლდა ერთი ხმოსანი.

არიქა, ბიჭო, იფრინე და, სადაც იყოს, ვინც შეგხვდეს ხმოსანი—არ გაუშვა, უთუოდ აქ მოიყვანე.

მირბიან გამგეობის შიკრიკები—ერთი ბაღში და მეორე თეატრსა და ცირკში. ერთი შიკრიკი ვაჭარ-ხმოსანს დასდგომია თავს და ემუდარება საბჭოს კრებაზე წამოსვლას. მაგრამ ვაჭარი თურმე გაფუჭებულ აბრეშუმის თესლებს არჩევდა, გული დაკოდილი ჰქონდა და რა საბჭოსი ეცხელებოდა.

მობრუნდნენ შიკრიკები—გამოაცხადეს, რომ არც თეატრში, არც ცირკში ისინი უბილეთოდ არ შეუშვეს და ქუჩაში ვერავინ ვერ ვნახეთო.

ამის თქმა და დამსწრე ხმოსანთა აშლა და საჩქაროდ დარბაზის დაცარიელება ერთი იყო.

საბჭოს შემდეგი სხდომა დანიშნულია 13 მაისს.

რუსეთის ქრონიკა

∝ პეტერბურგში არსდება გაზეთის მომუშავეთა საურთიერთო დამხმარებელი საზოგადოება. პროექტით საზოგადოების საგანია ნივთიერი დახმარება აღმოუჩინოს ხოლმე პრესსის მოღვაწეთა და გახსნას მათთვის კლუბი. საზოგადოება დააარსებს შემნახველ-გამსესხებელ კასსას, რომლის წესდების შედგენას კიდეც შეუდგნენ. კლუბში გაიმართება რეფერატების კითხვა, საუბრები და სხვა.

∝ განსაკუთრებულმა კომისიამ უკვე შეიმუშავა პროექტი იმის შესახებ, რომ რკინის გზების ყველა მსახურ-მოხელეთ სახელმწიფო სამსახურის უფლება-უპირატესობანი მიენიჭოს. პროექტი კიდეც წარედგინა გზათა სამინისტროს განსახილველად და კანონიერ მსვლელობის მისაცემად.

∝ გაზ. „ოდესსკ. ნოვ.“ ის სიტყვით, საერო განათლების სამინისტრომ შეიწყნარა ოდესის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის სოლსკის შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ორკლასიან საეკლესიო-სამრევლო სკოლებში პირველ დაწყებითი მედიცინის სწავლება იქმნას შემოღებული.

∝ პეტერბურგის საექიმო საქალებო ინსტიტუტიდან ამ დღეებში გამორიცხეს 100-მდე მოსწავლე ქალი სწავლის ფულის გადაუხდელობის გამო.

∝ ამ ჟამად ერთი რუსის ქალი მოსკოვის უნივერსიტეტში კურს-დასამთავრებელ ეგზამენს იჭერს იურიდიულს ფაკულტეტზე. ეს პირველი ქალი-იურისტი იქნება რუსეთში. სწავლა მას ბერლინის უნივერსიტეტში გაუთავებია.

ტფ. სათავად-აზნაურო ბანკის რწმუნებულთა კრება

(დასასრული *)

უკანასკნელი განსახილველი საგანი ტფ. სათავად-აზნ. ბანკის რწმუნებულთა კრებაზე 25 აპრილს იყო საკითხი გირავნობის ფურცლების გამოცემის წეს-რიგის შესახებ.

შარშან ბანკის 24 რწმუნებულმა მოითხოვა, შუამდგომლობა იქმნას აღძრულიო ფინანსთა სამინისტროს წინაშე იმის შესახებ, რომ გირავნობის ფურცლების გამოცემისათვის ისეთივე წესი იქმნას ჩვენს ბანკშიო, როგორიც საქალაქო საკრედიტო საზოგადოებაში ჰსუფევს. საქმე ის არის, რომ სათავად-აზნაურო ბანკის გირავნობის ფურცლების გამოცემის საქმეს აწარმოებს, როგორც საბოლოო ინსტანცია, პეტერბურგში ფინანსთა სამინისტროს საკრედიტო კანცელარია; საქალაქო საკრედიტო საზოგადოებას-კი უფლება აქვს, ტფილისში, გამოსცეს საჭირო გირავნობის ფურცლები. ეს სხვადა-სხვაობა მავნებელია ტფ. სათავად-აზნ. ბანკისათვის, რადგან მის კონკურენტს—საკრედიტო საზოგადოებას—ერთი-ორად უფრო ადრე შეუძლია დააკმაყოფილოს მსესხებელი, ვიდრე სათავად-აზნ. ბანკს, რომელიც სესხს ვერ გასცემს, სანამ სამინისტროს არ შეეკითხება. აი იმ წესის გამოცვლა მოისურვა 24 რწმუნებულმა; შარშანდელმა კრებამ-კი საქმის განხილვა მიანდო ბანკის სამმართველო ორგანოებს. ამათ განუხილავთ 24 რწმუნებულის განცხადება და დაუდგენიათ უყურადღებოდ იქმნას იგი დატოვებული შემდეგ მოსაზრების ძალით: ამ წლის 1-ლ იანვრიდან სათავად-აზნ. ბანკს მეთვალყურედ დაენიშნა სამინისტროს რწმუნებული, რომელსაც შეუძლია აქვე დართოს ნება გირავნობის ფურცლების გამოცემაზე; ხოლო ამით საკმაოდ უმჯობესდება საქმე გირავნობის ფურცლების გამოცემისა და საჭირო აღარ არის ვითხოვოთ საკრედიტო საზოგადოების უფლებაო.

ზედამხედველ კომიტეტისა და გამგეობის ამგვარმა დასკვნამ ხანგრძლივი კამათი გამოიწვია გუშინ-წინდელს კრებაზე. კამათში მონაწილეობა მიიღეს: ბანკის სამმართველო ორგანოების მხრით—გამგეობის თავმჯდომარემ **თავ. ი. გ. ჭავჭავაძემ**, ზედამხედველ კომიტეტის წევრმა **თავ. ვ. ს. მიქელაძემ** და სხვათ; ოპპოზიციის მხრით—**თავ. ა. შ. ჩოლოყაშვილმა. ექ. გ. გაბაშვილმა, ექ. ნ. ხუდადოვმა, მ. ვ. მაჩაბელმა** და სხვათ. **თავ. ა. შ. ჩოლოყაშვილმა** ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა გამგეობისა და ზედამხედველ კომიტეტის მოხსენების წინააღმდეგ. სხვათა შორის მან სთქვა:

ბანკის მმართველთ თვის გარდაწყვეტილების მოხდენის დროს უხელმძღვანელნიათ იმ მოსაზრებით, რომ არსებული წესი სესხის მიცემისა შეიცვალა და ფინანსთა სამინისტროს რწმუნებული აქვე, ტფილისში ამტკიცებს გირავნობის ფურცლებს; მაგრამ რწმუნებულმა შეიძლება არ დაამტკიცოს და მაშინ ისევ სამინისტროს უნდა შეეკითხონ. როგორც საკრედიტო საზოგადოებას, ისე ჩვენს ბანკს აქვს საკონტროლო ორგანო—ზედამხედველი კომიტეტი და რატომ არ უნდა ვიშუამდგომლოთ, რომ სამინისტრომ ნდობა გამოუცხადოს ჩვენს კომიტეტსაც, ისე, როგორც საკრედიტო საზოგადოებისას. თუმცა სესხის გაცემის წესი ამ სამი თვის წინად შეიცვალა, მაგრამ აი დამამტკიცებელი ციფრები იმისა, რამდენად უფრო ბევრს სესხს სცემს საკრედიტო საზოგადოება, რომელიც გირავნობის ფურცლების გამოცემის საქმეში თავისუფალია. 1 იანვრი-

---

ძალით გამხნევებულმა, გადაწყვიტა შეეწირა თავი დაწყებულ საქმისათვის. ასეც მოიქცა, ის აწამეს უმეცრებმა ჯვარზე, რომ ამით შეეწყვიტათ მისი გავლენა ხალხზე. სურდათ ხალხი იმავ სიბნელეში დარჩენილიყო. უგნურთ ეგონათ, რომ ქრისტეს სიკვდილით მოსპობდენ მის სწავლასაც ხალხში, მაგრამ მწარედ მოსტყუვდნენ...

ამ შთაბეჭდილებით ვეგებებოდი ყოველთვის ამ დღესასწაულს ჩემს სამშობლოში, სადაც, მოახლოვდებოდა თუ არა ქრისტეს აღდგომა, ყველა მზადებას იწყებდა: ვინ სულისთვის და ვინ ხორცისთვის. ჟენევაში კი თვალს სულ სხვა სურათი წარმოუდგა. დიდ მარხვის უკანასკნელ დღეებში თვალ-ყურს ვადევნებდი, მაგრამ ქალაქსაც და მის მცხოვრებსაც ჩვეულებრივი ხასიათი ეტყობოდა. არც განსაკუთრებით მზადება, არც ქუჩებში მოძრაობის მომატება, არც ეკკლესიებში რაიმე ცვლილება ამ დღეებში არ მომხდარა. თეატრში წარმოდგენები და ოპერები ამ დღეებში არ შეწყვეტილა. თვით პატარა შაბათსაც-კი თეატრი სავსე იყო ჟენეველებით. უცხო პირს ეგონებოდა, რომ ამ ქალაქში ან სულ არ ცხოვრებს ქრისტიანი და ან დავიწყებიათ სრულებით ეს დღესასწაულიო...

შაბათს საღამოს ოთახში მოსამსახურე ქალი შემოვიდა და გვთხოვა, რომ თუ შესაძლებელი იქნებოდა, მეორე დღეს ჩვეულებრივზე უფრო ადრე ავმდგარიყავით. როცა მიზეზი ვკითხეთ, გვიპასუხა, რომ ხვალ აღდგომაა და მინდა ყველა ოთახები ადრე დავალაგო, რომ შემდეგ ნათესავებთან წავიდეო. ჩვენც, რასაკვირველია, დავპირდით და მასთან გავიფიქრე, რომ ხვალ მაინც შევნიშნავ რამეს-თქო. გათენდა აღდგომაც. დილას ავდექი, გავიხედე კარში, წვიმიანი დღე იყო. ჩავიცვი და ქალაქში გაველი; მაგრამ იქაც ვერავითარ ცვლილებას ვერ შევხვდი, გარდა ამისა, რომ ყავა-ხანებში ხალხი უფრო ბლომად იყო და სხვა და სხვა სასმელებს სვამდენ. ასე გასინჯეთ, მაღაზიებიც კი ვაჭრობდნენ დილის თერთმეტ საათამდის, როგორც საზოგადოდ უბრალო კვირა დღეს. ქუჩებში ჩვეულებრივად ვხედავდი გაზეთების დამტარებლებს, რომლებიც ხმა-მაღლა გაიძახოდენ სხვა-და-სხვა გაზეთების სახელებს და ფასს; ვხედავდი დედაკაცებს, რომლებსაც გასაყიდი ბოსტნეულობა და სხვა პრავიზია დაჰქონდათ ქუჩებში; ვხედავდი აგრეთვე მრავალ დატვირთულ მუშებსაც, რომლებიც ამ დღესაც ვერ გამხდარიყვნენ თავისუფალი. ბოლოს ვიფიქრე, იქნება დღეს ცუდმა ამინდმა შეუშალათ ხელი, თორემ უბრალო დღესასწაულებს თუ მეტი ამბით ხვდებიან, ამ დღეს რა დააშავამეთქი. მეორე დღეს გამოიდარა და მეც სწორედ ქალაქის იმ ნაწილისაკენ გავეშურე, სადაც საზოგადოდ დღესასწაულის დროს მართავდნენ სხვა და სხვა გასართობს და სანახავებს; მაგრამ წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება, რომ იქაც ისეთივე სურათი გადაეშალა თვალს, როგორიც პირველ დღეს! დავაპირე სახლში გამობრუნება, მაგრამ ამ დროს ნაცნობმა ფრანგის ქალმა დამინახა და მთხოვა ჟან-ჟაკ რუსსოს კუნძულზე გავსულიყავით. მე სიამოვნებით დავეთანხმე, რადგან მინდოდა რამოდენიმე კითხვა მიმეცა ამ დღესასწაულის შესახებ. ჩემს კითხვებზე ნაცნობმა დაწვრილებით მომცა პასუხი და შემდეგ თითონ მკითხა, თუ საქართველოში როგორ ვეგებებით ამ დღეს. მეც, რასაკვირველია, დაწვრილებით უამბე ყველაფერი; ასე გასინჯეთ, ჩვენი „პასქები“ და „კულიჩებიც“ არ დამვიწყებია!..

იმ დროს ჩვენს ახლოს კუნძულზევე იჯდა ერთი ახალგაზდა, რომელიც ჩვენ საუბარს უგდებდა ყურს, როგორც ეტყობოდა. ბოლოს ვეღარ მოითმინა და მითხრა:—თქვენ დიდი ხნის ჩამოსული არ უნდა იყოთ ჟენევაში? არა, მიუგე მე, სულ ცხრა თვეა, რაც აქა ვარ.—მიტომაც არის, რომ აგრე გიკვირსთ აქაური ჩვეულება! თქვენ სწორედ შეგინიშნავთ, რომ ამ დღესასწაულმა უწინდელი ხასიათი დაჰკარგა ევროპაში; ის თითქმის მეორე ხარისხზეა დაყენებული ეხლა ყველა განათლებულ მხარეებში, რადგან პირველი ადგილი დაიკავა მეორე დღესასწაულმა, რომელსაც თითვეული ჩვენგანი მოუთმენლად ელის. თქვენ დაინახავთ ამ დღეს, რომ ქალაქს ერთი ორად ემატება სიცოცხლე!..

ჩვენ მოსაუბრეს სახე გაუბრწყინდა. ეტყობოდა, რომ მეტად გატაცებული ამბობდა ამ სიტყვებს; სჩანდა, რომ მისი მოგონება აღელვებდა მას, მით სცოცხლდებოდა, მით სულდგმულობდა... სურდა განეგრძო საუბარი ამ თემაზე, მაგრამ სწორედ ამ დროს მას დაუძახეს მეორე ადგილიდამ, აჰკიდეს ბარგი და გაუყენეს გზას. ჩვენც ავდექით გულდაწყვეტილი, რომ მას საუბარი გააწყვეტინეს, გამოვემგზავრეთ სახლისკენ. როდესაც უმთავრეს ქუჩაზე გამოვედით, წინ მეყასბეების ბრბო შეგვხვდა, ნაციონალურ ტანისამოსით გამოწყობილი; მათ თან დაჰქონდათ მოვარაყებული და ყვავილებით შემკული საქონლის თავები და სხვა-და-სხვა ნაწილები საკლავებისა. ზოგიერთს კი ყულაბები ეჭირათ ხელში და გამვლელ-გამომვლელებისაგან აგროვებდნენ შემოწირულებას. როდესაც ჩემ ნაცნობ ქალს ვკითხე ამის მნიშვნელობა, მან მიპასუხა, რომ აღდგომის მეორე დღე მეყასბეების დღესასწაულად ითვლება. ისინი ამ დღეს პროცესიით დადიან ქუჩებში და აგროვებენ ფულს სახალხო სკოლებისათვის, სადაც ღარიბების შვილები იზრდებიანო.

მ. თ.

---

*) იხ. „ცნ. ფურცელი“ № 1790.

Дозволено цензурою Тифлисъ, 26 Апреля 1902 года.

დან ჩვენს ბანკს გაუცია მხოლოდ 1,103,000 მან. სესხი, მაშინ როდესაც ქალაქის საკრედიტო საზოგადოებას ამავე დროს 3 მილიონი მან. სესხი გაუცია. თავ. ჩოლოყაშვილმა დიდ-ხანს ილაპარაკა და დაასკვნა, რომ უსათუოდ აღიძრას შუამდგომლობა 24 რწმუნებულთა განცხადების თანახმად.

თავ. ი. გ. ჭავჭავაძე. მე წარსულ კრებაზედაც წინააღმდეგი ვიყავი რწმუნებულთა მოსაზრებისა, რადგანაც საკრედიტო საზოგადოებათ და ხარკოვის საერობო ბანკს უდარებენ ჩვენს საადგილ-მამულო სათავად-აზნ. ბანკს. აქ არავითარი შედარება არ შეიძლება, რადგანაც ერთი იძლევა სესხს ქალაქის მამულების გირაოთი და მეორე—სოფლის მამულებისა, მაშინ როდესაც ჩვენს ბანკს უფრო ფართო უფლებები აქვს სესხის გაცემისა. ჩვენ ასეთი წესის შემოსაღებად შუამდგომლობის აღძვრა არ გვჭირდება, რადგანაც წესი სესხის გაცემისა შეიცვალა და ვიდრე გამოცდილება არ დაგვანახვებს მის უვარგისობას, მანამდის საჭიროდ არ მიმაჩნია ასეთის შუამდგომლობის აღძვრა. ჩვენ რომ შუამდგომლობა აღვძრათ, შეიძლება მოგვცენ კიდეც, რასაც ვითხოვთ, მაგრამ, შესაძლებელია მაშინ სხვა უფლება შეგვიზღუდონ. გრძელ სიტყვის დასასრულ თავ. ჭავჭავაძემ განაცხადა, უარ-ყოფილ იქმნას 24 რწმუნებულის განცხადება შუამდგომლობის აღძვრის შესახებაო.

ხანგრძლივის კამათის შემდეგ კრებამ ხმის უმეტესობით გარდასწყვიტა შეწყნარებულ იქმნას 24 რწმუნებულის განცხადება და ფინანსთა სამინისტროს წარედგინოს შესაფერისი შუამდგომლობა.

26 აპრილის სხდომა

მეორე დღის სხდომაზე გამგეობის თავმჯდომარემ, **თავ. ი. გ. ჭავჭავაძემ** განაცხადა, რომ წინანდელი დადგენილება გირავნობის ფურცლების გამოცემის შესახებ უკანონოა: რადგან საქმე შეეხება წესდების მუხლის შეცვლას, ამიტომ საჭიროა რწმუნებულთა ორმა მესამედმა გადასწყვიტოს საკითხიო; ამის გამო ვერც გამგეობა, ვერც ზედამხედვ. კომიტეტი ვერ იკისრებენ განზრახულ შუამდგომლობის აღძვრასაო.

ამ განცხადებამ მწვავე კამათი გამოიწვია და, ბოლოს, გამგეობის ერთმა წევრმა, **ა. ნ. ფურცელაძემ**, იკისრა შუამდგომლობის შედგენა და კრების სახელით, სადაც ჯერ არს, წარდგენა.

შემდეგ ამისა ზოგიერთი რწმუნებული დაეკითხა გამგეობას სხვა-და-სხვა საბანკო საქმეების გამო. **ექ. გ. გაბაშვილი** შეეკითხა, რა მდგომარეობაში არისო ბანკის მსახურთა საპენსიო კასსის საქმე. მას უპასუხეს, რომ კასსის პროექტი წარედგინა სამინისტროს, ხოლო მან ზოგიერთ დამატება-ცვლილების მოსახდენად უკანვე დააბრუნა და მალე ისევ წარედგინება დასამტკიცებლადაო. იგივე **გაბაშვილი** ეკითხება შემდეგ —შედგენილია თუ არა ინსტრუქციები დამფასებელ კომიტეტისა და ბანკის ბაქოს სააგენტოსათვისო. გამგეობის პასუხიდან გამოირკვა, რომ, რადგანაც სამინისტროს რწმუნებულის დანიშვნის შემდეგ ბანკის საქმეთა მიმდინარეობამ სხვა ხასიათი მიიღო, საჭიროა დროებით გადაიდვას ახალ ინსტრუქციების შედგენა; ყოველ შემთხვევაში ეს ინსტრუქციები მალე იქნება შედგენილიო. ლაპარაკი ჩამოვარდა აგრეთვე კრედიტის გაიაფებაზე $^1/_8$ კაპეიკით, თანახმად ერთ-ერთ წინანდელ კრების დადგენილებისა. **თავ. ი. გ. ჭავჭავაძემ** განმარტა, რომ ფულის საზოგადო კრიზისი ხსენებულ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანის ნებას არ იძლევა ჯერ-ჯერობით. კიდევ რამდენიმე დაკითხვის შემდეგ კრება შეუდგა არჩევნებს.

გამგეობის წევრის თანამდებობაზე კანდიდატებად დასახელებულ იქმნენ: უგანათ. თავ. მ. ა. გრუზინსკი, ქრ. ი. მამაცაშვილი, ი. გ. თულაშვილი და თავ. ა. ს. ლეონიძე, ხოლო გამგეობის წევრის კანდიდატის თანამდებობაზე—ა. რ. ვახვახიშვილი, იორ. ი. ჯორჯაძე და თომა გრ. ჯომარჯიძე; დამფასებელ კომისიის წევრების თანამდებობაზე თავ. ლ. ლ. ჩერქეზიშვილი, თ. ი. გ. ჯორჯაძე და მათ კანდიდატებად ფ. ი. ამირალოვი და ი. ფ. ამირეჯიბი. კენჭი იყარეს ყველა დასახელებულმა პირებმა. უგანათ. თ. მ. გრუზინსკის ამოუვიდა 61 თეთრი კენჭი და 34 შავი; ქრისტეფორე მამაცაშვილს 58 თეთრი და 36 შავი; ი. გ. თულაშვილს 48 შავი 45 თეთრი; ა. ს. ლეონიძეს 29 თეთრი და 66 შავი; კანდიდატებად დასახელებულთა. რ. ვახვახიშვილს—66 თეთრი კენჭი და 29 შავი, იორ. ი. ჯორჯაძეს 61 თეთრი, 34 შავი და თ. ჯომარჯიძეს 43 თ. 52 შ.; დამფასებელ კომისიაში: თ. ლ. ლ. ჩერქეზიშვილს 88 თეთრი და 7 შავი, თ. ი. გ. ჯორჯაძეს 81 თეთრი 14 შ., მათ კანდიდატებს ფ. ი. ამირალოვს 56 შავი 49 თეთრი და ი. ფ. ამირაჯიბს 54 თ. და 41 შავი.

ამ რიგად გამგეობის წევრებად ამორჩეულ იქმნენ ისევ უგანათ. თ. მ. გრუზინსკი და გენ. ქრ. მამაცაშვილი, ხოლო მათ კანდიდატებად თ. ა. რ. ვახვახიშვილი და იორ. იოს. ჯორჯაძე; დამფასებელ კომისიის წევრებად: თავ. ლევან ჩერქეზიშვილი და თავ. ი. გ. ჯორჯაძე და მათ კანდიდატად თავ. ფ. ამირეჯიბი.

კრება ნაშუადღევის $3^1/_2$ საათზე დაიხურა.

უცხოეთის წვრილი ამბები

პრეზიდენტ კრიუგერის ოჯახობა. ინგლისის მწერლობა არა ერთხელ შეცდილა, ხალხი დაარწმუნოს, რომ ტრანსვაალის უხუცესი პრეზიდენტის ოჯახის წევრების უმეტესმა ნაწილმა სამხრეთ-აფრიკაში ფიცი მიიღეს ინგლისის ერთგულობაზე. ნამდვილად კი სრულიად ისე არ არის, როგორც ინგლისელები ირწმუნებიან. პრეზიდენტ კრიუგერს ოთხი ვაჟიშვილი ჰყავს და აი, შემდეგიდან დავინახავთ, სად არიან ისინი ეხლა და რას აკეთებენ.

1. კასპარ-იან-გენდრიკი აქამომდე ბურების რაზმშია. ის რამდენჯერმე იყო დაჭრილი ომებში, დიდი ხანია აციებს და შეხედულობით თავის მამაზე უმცროსს არა ჰგავს.

კასპარ კრიუგერს სამი შვილი ჰყავს: 1) სტეფან-იოჰან-პავლე—გენერალ დელარეის რაზმშია; 2) პიეტ-იერიტ-ვესსელი—ომის დროს ავად გახდა და ინგლისელებმა ტყვედ წაიყვანეს; 3) კასპარ-იან-გენდრიკი თავის მამასთან ერთად ინგლისელებს ებრძვის.

2. იან-ანდრიან კრიუგერი ბრძოლის ველზეა. იმას სამი შვილი ჰყავს: 1) სტეფან-იოჰან-პავლე; 2) სარელ-იოჰან; 3) იან-ადრიან. ეს სამივე ბრძოლის ველზე დაიხოცნენ.

3. პიეტ-კრიუგერი, პრეზიდენტის მესამე შვილი, ინგლისელებმა ტყვედ წაიყვანეს და ეხლა კუნძულ ცეილონზე იმყოფება.

4. ტიარდ-ანდრიეს კრიუგერი ძალიან სუსტი აგებულებისაა—13 სექტემბერს წარსულ წელს ინგლისელებს დანებდა პრეტორიაში, სადაც ამავე თვეში მოკვდა.

პრეზიდენტ კრიუგერს ექვსი სიძე ჰყავს:

1. კრისტოფელ ფური—ომში მოჰკლეს. იმის გერი პიეტ-იერიტ-ვესსელი ეხლაც—ეომება ინგლისელებს.

2. ტეინის ელოფი. ამას შვილი ჰყავს. ორივენი ბურების ჯარში არიან დღევანდლამდე.

3. ფრედერიკ-კრისტოფელ ელოფ. ეს სიძე პრეზიდენტისა იძულებული იყო, ინგლისელებისთვის ერთგულება შეეფიცა, რომ ჰქონიყო შეძლება პრეზიდენტ კრიუგერის ავადმყოფ მეუღლისათვის (აწ გარდაცვალებული) მოევლო პრეტორიაში. ის გვერდით ახლდა ავადმყოფს გარდაცვალებამდის. იმისი შვილი ეორელ-იოჰან ელოფი ინგლისელებმა ტყვედ წაიყვანეს ომის დროს.

4. იერიტ ელოფი. ამას ორი შვილი ჰყავს: ფრედერიკ-კრისტოფელ და სტეფან იოჰან-პავლე. მამა და უფროსი შვილი ბურების რაზმებში იბრძვიან, ხოლო უმცროსი შვილი თავის პაპასთან, პრეზიდენტთან, არის მდივნად.

5. პიეტ-სმიტი. ის ეხლაც ბურების ჯარშია, იმის ერთად ერთი შვილი კი ინგლისელებთან ომში მოჰკლეს.

6. კუს მალანი—ინგლისელებმა მოჰკლეს.

ზემო ნაჩვენებიდანა სჩანს, რომ პრეზიდენტ კრიუგერის ოჯახობას სულ ოცდა სამი წევრი შეადგენს, ქალებს გარდა. მაშ ვილამ აღიარა ინგლისელების ერთგულება?!

**

ბურის შეფიცვა. ტყვე ბურებთა შორის, რომელნიც ბერმუდის კუნძულებზე ინგლისელების საპატიმროებში დრტვინავენ, ერთი ბური ურევია, რომელიც კაცს გააოცებს თავის გრძელი თმებით, რომელიც ბეჭებზე სცემს.

ამ ბურს გრძელი თმების დაყენება სიბინძურით და ხალხის საჩვენებლად კი არ მოსდის... ეს უბრალო დამცველია თავის სამშობლოსი. იმან ფიცი დასდო არ გაიკრიჭოს თმები, ვიდრე ინგლისელები სრულიად განდევნილნი არ იქნებიან სამხრეთ-აფრიკიდან.

მიუხედავად იმისა, რომ ტყვედ არის, ბური მტკიცედ დარწმუნებულია, რომ სამხრეთ-აფრიკა ახლო მომავალში სრულიად დამოუკიდებელი გახდება ინგლისელებისაგან.

ღმერთმა უსმინოს!

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

25 აპრილი

პეტერბურგი. სატარიფო კომიტეტმა დაადგინა ქვა-ნახშირზე, რომელიც საზღვარ-გარეთ და აზოვის ზღვის ნავთსადგურებში გააქვთ, გადასახადი ტარიფი იყოს ფუთზე და ვერსზე $^1/_{80}$ კაპ. 120 ვერსამდის, მას იქით მიემატება $^1/_{120}$ კაპ. ახალი ტარიფი გადატანის ფასს შეამცირებს ერთის კაპეიკით ფუთზე.

მიტავა. გზატკეცილების შესაკეთებლად გუბერნიაში გადადებულია 487,000 მანეთი.

სიმბირსკი. 24 აპრილს სენგილეიმ იდდესასწაულა სამაზრო ქალაქად გადაკეთების იუბილეი.

ხარკოვი. სტავროვსკის საქმე, რომელიც მეორეთ გაირჩა კასაციის შემდეგ, კიდევ იმითი გათავდა, რომ სტავროვსკი დამნაშავედ იცნეს. ბრალდებული დამნაშავედ არის ცნობილი იმაში, რომ იმან გაფლანგა 117,215 მან; მხოლოდ მოუსაზრებლად. სასამართლომ გადაუწყვიტა სტავროვსკის სამი კვირით დაპატიმრება.

ოსტერი. ჩერნიგოვის გუბერნატორმა დაათვალიერა ყველა სკოლები და დაწესებულებანი და უჩვენა სანიტარული ზომების მიღების საჭიროებაზე.

კრონშტადტი. რეველიდან მიღებულია კერძო დეპეშა, რომლითაც იუწყებიან, რომ ნავთსადგურში ჯერ ყინული არ დაძრულა: სავაჭრო გემებს ჯერ-ჯერობით გავლა არ შეუძლიანთ.

26 აპრილი.

ლონდონი. გაზეთ „სტანდარტს“ ტიანძინიდან დეპეშით ატყობინებენ, ჰეჩელიის ოლქში ამბოხება იზრდებაო. მეამბოხეთა რიცხვი 40,000 კაცია.

ლონდონი. „პრიმროზის“ ლიგის წლიურ ბანკეტზე მარკიზ სოლსბიურიმ სთქვა, ზავის ჩამოგდების შესახებ ვერას ვიტყვი. ეჭვს გარეშე კია, რომ მმართველობის ღონე დამკვიდრებული უნდა იყოს დაპყრობილ ქვეყანაში ახალი შეტაკების თავიდან ასაცილებლად.

ბუდაპეშტი. ბიუჯეტის კომისიის სხდომაზე 14 აპრილს, რეიხსრატის წარმომადგენლებს გრაფ გოლუხოვსკიმ უთხრა: იმპერატორის სიტყვებიდან თქვენ გაიგებდით, რომ სახელმწიფოს გარეშე პოლიტიკა უზრუნველ ყოფილა.ო

პეშტი. ავსტრიის დელეგაციაში კრამარჟმა სთქვა, რომ დეპუტატთა უმრავლესობა უფეროდ სამთა კავშირის გულისათვის ეკონომიურ ინტერესებს ვერ იმსხვერპლებს. მათ რუსეთთან დაახლოვება სურთ. სილვესტრი სიხარულს აცხადებს სამთა კავშირის განახლების და რუსეთთან დაახლოვების გამო. კოზლოვსკი ჰგმობს პრუსიის მოქმედებას პოლონელთა წინააღმდეგ.

ბობრუისკი. ბობრუისკში 1000 შენობა და 650 დუქანი და ბაზარი დაიწვა. ხალხი მშიერმწყურვალი დარჩა. დახმარებაა საჭირო. შემოწირულებას მიიღებს აზნაურთა წინამძღოლი კოლოგრივოვი.

ტომსკი. აქ არსდება ქალთა მფარველი საზოგადოება. საზოგადოებაში 60 კაცი ჩაეწერა.

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორი 26 აპრილს ჯარებს პეტერბურგში არ დაათვალიერებს. პეტერბურგში საგანგებოდ მოსულ ჯარებს ებძანათ თავიანთ ადგილებზე დაბრუნდნენ. 8 მაისს დილის 11 საათზედ კრასნოე სელოში, საფრანგეთის პრეზიდენტის დასწრებით, მოხდება ჯარების აღლუმი.

გამომც. და დრ. რედაქტორი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია ტფილისის საათი, ფრჩხილებში კი—პეტერბურგის)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს—1) № 1 სწრაფი—დილის 6 ს. და 45 წ. (7 ს. 43 წ.); 2) № 3 საფოსტო—ნაშუადღევს 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 3) № 5 სამგზავრო—დილის 8 ს. 29 წ. (9 ს. 27 წ.).

ბაქოს—1) № 2 სწრაფი (მხოლოდ პარასკევობით)—დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.); 2) № 4 საფოსტო—დილის 12 ს. 36 წ. (1 ს. 34 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.).

ბორჯომს—№ 7—დღის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.).

ყარსს—№ 74/75 საღამ. 8 ს. 30 წ. (9 ს. 28 წ.).

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან—1) № 2 სწრაფი—დილის 9 ს. 4 წ. (10 ს. 2 წ.); 2) № 4 საფოსტო—დილის 11 ს. 34 წ. (12 ს. 32 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღ. 6 ს. 39 წ. (7 ს. 37 წ.).

ბაქოდან—№ 1 სწრაფი (შაბათობით)—დღის 2 ს. 45 წ. (3 ს. 43 წ.); № 3 საფოსტო—დღის 3 ს. 56 წ. (4 ს. 54 წ.); № 5 სამგზავრო—დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.).

ბორჯომიდან—№ 8—საღ. 5 ს. 59 წ. (6 ს. 57 წ.).

ყარსიდან—№ 76/77 დილის 6 ს. 20 წ. 7 ს. 18 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) № 2 სწრაფი—ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) № 4 საფოსტო—საღამ. 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); № 6 სამგზავრო—დილის 7 ს. 5 წ. (8 ს. 3 წ.).

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის
გამგეობა

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ 27 ამა აპრილს, შუადღის 12 საათზე, მის თანადასწრებით მოხდება საჯარო ვაჭრობა, რომლითაც გაიცემა იჯარით ქალაქისათვის ქუჩების გასანათებლად 20.000 ფუთი კეროსინის მიწოდება წელიწადში. დაწვრილებით პირობები მსურველს შეუძლია მიიღოს გამგეობის მე-4 განყოფილებაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3-მდე. (ნ. 3—3)



მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი „ოდონრინი“ მ. ვ. ლებედევისა.

ეს საშუალება რამდენიმე დღეში სპობს სრულებით მაზოლსა და მეჭეჭს ძირიანად. უნდა ჰქონდეს ეტიკეტი, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

ისყიდება ტფილისში—სააფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობის მაღაზიაში და მის განყოფილებებში—ბაქოსა და ბათუმს. (ნ. 25—3).

მაღაზია
ნ. ა. საზაევისა და ფ. ს. ფილიპოვისა
ქ. ქუთაისში

გიმნაზიისა და ალექსანდრეს ქუჩების კუთხეში, ბულვარის პირდაპირ.

გვაქვს პატივი ვაცნობოთ პატივცემულ **ქუთაისის და ქუთაისის ახლო-მახლო სოფლების საზოგადოებას**, რომ ჩვენს მაღაზიაში გვაქვს მუდამ მრავალ-გვარი **ფარფორის და ფაიანსის საქონელი** სხვა-და-სხვა ხრუსტალის და შუშეულების ნაწარმოები, ვარშავისა და საზღვარ-გარეთელი ლამპები. საზღვარ-გარეთელი რკინეული საელემენტო ჭურჭლეულობა უმაღლესი ხარისხისა. სპილენძის ჭურჭლეულობა, სამოვრები და ყოველ-გვარი საოჯახო კუთვნილებანი. მელხიორის და ბრიჯაოს ნაწარმოებნი. ვენის გაღუნული ბამბუკის სახლის ავეჯეულება. ინგლისური და ვარშავის კრაოტები და მატრაცები. სხვა-და-სხვა კედლის და სატუალეტო სარკეები. კლიონკები და ლინოლეუმები პოლისთვის. რუსული და საღვარ-გარეთელი გიტარები, სკრიპკები და სტრუნები ყოველ-გვარი. საეკკლესიო კუთვნილებანი.

ყველაფერი ისყიდება **ზომიერ ფასად და უვაჭროდ**.

ელექტრონით მბეჭდავი ამხ. წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა